# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 18 სექტემბერი №101 (11587) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

„განმძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა, შთამოსული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რისთვისაც ვითხოვ შენდობას“.

(წარწერა სოლომონ II-ის საფლავის ქვაზედ).

## მართლაც კვერთხისა და გვირგვინის ღირსი

საქართველოს სახელმწიფოს უკანასკნელი საჭეთმპყრობელი, იმერეთის მეფე სოლომონ II (არჩილის ძე), რომლის მოწამეობრივი ცხოვრება მაგალითია საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის გმირული ბრძოლისა, ჩვენი „მფარველებისგან“ დევნილი და პატივაყრილი, 1815 წლის 7 თებერვალს 42 წლის ასაკში ტრაპიზონს გარდაიცვალა.

ათწლეულების თვლემის შემდეგ ვიხსენებთ და პატივს მივაგებთ დიდ წინაპარს.

12 სექტემბერს საქართველოს მონარქისტული (კონსერვატული) პარტიის შტაბ-ბინაში ჩატარდა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის საქართველოში ჩამოსვენების საორგანიზაციო კომისიის დამფუძნებელი კრება. მამულიშვილთა მიერ წამოწყებული ეს საქმე დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

კომისიის წევრებმა მიიღეს სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოლომონ II-ის დღევანდელი განსასვენებელი თურქეთში — ტრაპიზონში იავარქმნილია და მისი შემდგომი ბედის განსაზღვრა დღევანდელი ცვალებადი, არასტაბილური პოლიტიკური ვითარების დროს, პრაქტიკულად შეუძლებელია. კომისიის წევრები, ძირითადად, შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია დიდი წინაპრის ნეშტის გადმოსვენება.

კრების დასასრულს აირჩიეს სამუშაო ჯგუფები და მიიღეს მიმართვა, რომლსაც აქვე გთავაზობთ:

**სარედაქციო მინაწერი:**

**რედაქციამ მიიღო ბატონ აკაკი ბაქრაძის ბარათი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ კომისიის წევრად მისი არჩევა არ ყოფილა მასთან შეთანხმებული, რომ ის წინააღმდეგია მიცვალებულთა გადასვენება-გადმოსვენების, რომ ქართველებს საქართველოს საზღვრებს გარეთაც უნდა ჰქონდეთ წმინდა ადგილები. მისი აზრით, ეს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებასაც შეუწყობს ხელს.**

იმერეთის მეფე სოლომონ II-ის და ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში ჩამოსვენების საორგანიზაციო კომისიის

## მიმართვა ქართველი ერისადმი

საორგანიზაციო კომისიისა და საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის მიერ გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მეფე სოლომონ II-ის ნეშტის მოძიებისა და საქართველოში ჩამოსვენებისათვის.

მამულიშვილნო!

დღეს, როდესაც საქართველო ემზადება თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადასადგმელად — იმპერიის უღლისაგან საბოლოოდ თავის დასაღწევად, არ შეიძლება თვალწინ არ დაგვიდგეს იმ დიდი ქართველი მამულიშვილების სახეები, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ყოველგვარი კომპრომისების გარეშე, ალიანსების ტაქტის მტკიცედ უკუგდებით იბრძოდნენ საქართველოს მიტაცებისა და სამეფოს გაუქმების წინააღმდეგ, იბრძოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. სოლომონ II, უკანასკნელი ქართველი მეფე, ასეთ მამულიშვილთა ტიპიური, ბრწყინვალე წარმომადგენელია.

დღეს, „მხნე და ახოვანი, ჰკუა გონებით მორჭმული, შორს გამჭვრეტი და მართლაც კვერთხისა და გვირგვინის ღირსი, ბედისა და ყოველ თვისტომთა მიერ მოძულებული მეფე“, საქართველოდან გადახვეწილი, სამშობლოს მიწასა და მამა-პაპათა საძვალეს მონატრებული, ტრაპიზონში განისვენებს. განისვენებს სხვათაშორის — ცარისტული ხელისუფლებისა და იმპერიის ჩინ-მედლების ბრჭყვიალით მოხიბლული ზოგიერთი არაერთგული, მედროვე და პატივმოყვარე ვაიქართველის წყალობით.

მებრძოლი სული ბაგრატიონთა ღვთივკურთხეული გვარისა, მათი სიბრძნე და შემართება, სწორედ ახლა უნდა დაუბრუნდეს საქართველოს, რადგანაც რუსეთის ორსაუკუნოვანმა ოკუპაციამ, ჩვენი ერი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ მეფე სოლომონ II-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შეურიგებელი, აუცილებელი და სამართლიანი ბრძოლა, კვლავაც გასაგრძელებელია საქართველოს ისტორიის ამჟამინდელ ეტაპზე.

სოლომონ II-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ამ ორი სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლის ბრძოლამ ერთი იდეისათვის — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, უნდა შეგვახსენოს ჩვენი წმიდათაწმიდა მიზანი — ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველო!

დე, თავისუფალ საქართველოს მონატრებული მეფე სოლომონ II-ის სამშობლოში ჩამოსვენება, მისი ნეშტის სახელოვან წინაპართა საგვარეულო სამეფო საძვალეში მამა-პაპათა გვერდით დაკრძალვა ქართველი ერის სრული კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის დაფიცების სიმბოლოდ იქცეს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გ. გუმბარიძეს

## ცხინვალის რაიონის ქართველი მოსახლეობის მიმართვა

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ქალაქ ცხინვალში ჩატარდა სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეორე მოწვევის მეცამეტე სესია, რომელმაც მიიღო პროექტი „დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“.

დეკლარაციის პროექტი არის მცდელობა იმისა, რომ საქართველოს სუვერენიტეტი სახელმწიფოს მიწა-წყალზე შეიქმნას ოსური დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ა/წ 14 სექტემბერს სოფ. ერედვში გამართულ ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის თავყრილობაზე, განვიხილეთ რა დეკლარაციის პროექტი, იმ დასკვნამდე მივედით, რომ იგი ექსტრემისტული ძალების ნააზრევია და აბსოლუტურად არ გამოხატავს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქართველი ხალხის კანონიერ ნებას.

თავყრილობის საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია:

1. აღნიშნული სესიის მიერ მიღებული დეკლარაციის პროექტი სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ დაგმობილი იქნას, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელყოფის ცდა.

2. ეს და სხვა მრავალი ანტიქართული, ანტიკონსტიტუციური ფაქტი გვაიძულებს, კატეგორიულად მოვითხოვთ ცხინვალის რაიონის ავტონომიური ოლქის შემადგენლობიდან გასვლა, ცალკე ადმინისტრაციულ რაიონად ჩამოყალიბება ან შეერთება გორის რაიონთან.

უკვე მერამდენედ, გვინდა ვიწამოთ, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მხარს დაუჭერს ჩვენს სამართლიან მოთხოვნას, განიხილავს მას მორიგ სესიაზე ცალკე საკითხად და მოგვცემს საშუალებას თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრებისას...

თავყრილობამ გადაწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართოთ სრულ დაუმორჩილებლობას. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, გეკისრებათ პირადად თქვენ, ბატონო გივი, ყველას, ვინც ვალდებულია და დღემდე ვერ უზრუნველყო წლის დასაწყისში უზენაესი საბჭოს მორიგ სესიაზე შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის ნორმალური მუშაობა, მისი დამთავრება, ხალხის სამსჯავროზე გამოტანა და მისი პოლიტიკური შეფასება. სწორეს ამის მიზეზიცაა, რომ ჩვენს რეგიონში დღითიდღე მწვავდება ეროვნებათშორისი ურთიერთობანი, რომელსაც შეიძლება ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვეს.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საქართველოს კომპარტიის მე-18 ყრილობის სარედაქციო კომისიის წევრები, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მდივნები, ზოგიერთი სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკა; საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა; საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კამპანიასა და დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიის ფორმირებაში საქართველოს კომპარტიის მონაწილეობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის მუშაობა.

დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვაჟა გურგენიძემ.

მესამე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბონდო ჯიქიამ.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.**

17 სექტემბერს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყო.

იხ. მე-5 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სადღეისო კრედო

# საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ორიენტაციის შესახებ

**პოლიტიკური** ორიენტაციისათვის ამოსავალი წერტილი, როგორც ჩანს, ასეთი უნდა იყოს: ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მომავალში გათიშულად ვერ იარსებებს, პირიქით — ეს არის ერთი მთლიანობა, რომელსაც რეალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება სულ უფრო და უფრო მჭიდროდ — უმჭიდრესად დააკავშირებს. ნათელი უნდა იყოს, რომ ყველა შემთხვევაში პოზიტივი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც საშინაო და საგარეო მდგომარეობა ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთმიმართული იქნება.

გარდა ამისა, სათქმელი კიდევ ბევრია.

სწორი ორიენტაციის განსაზღვრისათვის და ადექვატური დასკვნების მისაღებად, კარგი იქნება, თუ გამოვყოფთ ახლო და შორ საზღვარგარეთს.

ახლო საზღვარგარეთი, ის, რომელიც უკანასკნელ ხანამდე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ჩვენს ცხოვრებას, უფრო სწორედ — ყველაფერს, ჩვენთვის არის საბჭოთა კავშირი. პირველ ყოვლისა, დღეს აუცილებელია მას სხვა თვალით შევხედოთ, რათა მაშინვე დავინახოთ, რომ იგი აღარ არის ერთგვაროვანი. და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და აღსანიშნი ის არის, რომ თვითონ რუსეთი (რუსეთის ფედერაცია) დაადგა სუვერენული თვითგამორკვევის გზას. ყველაფერი ეს აუცილებლადაა დასანახი, ხოლო არგათვალისწინება ამისა სრულიად გაუმართლებელი იქნება პოლიტიკურად.

აჩქარებაც.

ამ კონტექსტში შეიძლება შევეხოთ უკანასკნელად შექმნილ ხელშეკრულებას სსსრ-სა და რსფსრ-ს შორის და ვთქვათ, რომ აჩქარება პოლიტიკაში ზოგჯერ ამა თუ იმ, თუნდაც კარგი, პროექტის ინიციატორების საწინააღმდეგოდ ბრუნდება. ყველა შემთხვევაში დღეს აუცილებლადაა გასათვალისწინებელი, რომ ამჟამად მოქმედება, ჯერ ერთი, დღევანდელობის კონიუნქტურას უნდა ემყარებოდეს—ე. ი. ორიენტირებული უნდა იყოს ხალხისა და ოპოზიციის მხრიდან აპრობაციაზე, მეორეც, მომავალს, მის შეძლებისდაგვარად ყველა დეტალს, ითვალისწინებდეს, მესამეც, იურიდიულ და ისტორიულ რეალიებს არ ივიწყებდეს, კერძოდ რსფსრ-სთან ნებისმიერი ურთიერთობისთვის ეს არის რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული საზავო ხელშეკრულება. თუ დღეს სრულიად გასაგებია რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვანელობის დაინტერესება, არჩევნებამდე პერიოდში გაათორმოს პოზიტიური და მომგებიანი ორმხრივი ხელშეკრულებები (საერთოდ საარჩევნო კამპანიის დროს ყველა შეეცდება მიიზიდოს ელექტორატი), მეორე მხრივ, ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ეს შეიძლება ოპოზიციას აღიზიანებდეს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია (თუ აუცილებელი არა) შეიქმნას რაღაც კოალიციური კომისია პარიტეტულ საწყისებზე, რომელშიც დღევანდელი ასე თუ ისე სერიოზული ნაბიჯები აპრობირდება ოპოზიციური ძალების მონაწილეობით, — ასეთ შემთხვევაში ამგვარი ნაბიჯები ლეგიტიმიზირებულნი იქნება. არც ასეთი ლოზუნგი იქნებოდა ურიგო: ეს მოკლევადიანი, არჩევნებამდე. პერიოდი იყოს დემოკრატიის სკოლა — სხვათა შორის, ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც.

მაგრამ ჩვენს ახლო საზღვარგარეთს დავუბრუნდეთ, ამჯერად — ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს. თუ ჩვენ განვიხილავთ ჩვენს თავს ქვეყნად, რომელიც მტკიცედ დგას სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე, მაშინ მათთან ერთად ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ როგორც ოთხმა სუვერენულმა სახელმწიფომ და შევქმნათ, ჯერ ერთი, რესპუბლიკათშორისი, მეორეც, საერთო საგარეო პოლიტიკა. ამით ჩვენ ყველანი თვითომკვიდრდებით არა მხოლოდ თანამედროვეობის პოლიტიკურ გეოგრაფიაში, არამედ საერთაშორისო ცხოვრებაშიც — როგორც თავიდან დაბადებული სახელმწიფოები. ამას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არ არსებობს თვითგამორკვევის იდეალური მოდელი, მაინც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს დაფუძნების აქტს, აქტს, რომელიც აკანონებს ქვეყნის გადაქცევას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად: მხოლოდ და განსაკუთრებულად სუვერენული სახელმწიფო ipso facto (თვით ფაქტის გამო) შეიძლება იყოს ასეთი სუბიექტი. ჩვენ ამის შესახებ უკვე ვწერდით, როგორც იმის შესახებაც, რომ საქართველო სუვერენიტეტის სრულად აღდგენისათვის უნდა აკმაყოფილებდეს რიგ მოთხოვნებს: მუდმივ მცხოვრებთა და გარკვეული ტერიტორიის არსებობა, ლეგიტიმური მთავრობის ყოლა, რომელიც აკონტროლებს მთელ ტერიტორიას, შეუძლია განახორციელოს კონტაქტები სხვა ქვეყნებთან და ა. შ. ყველაფერ ამაზე „იმუშავებს" გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც შეიძლება ხელისუფლების ინსტიტუტების სრულყოფილად ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ყველაფერმა ამან გამოხატულება უნდა პოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელზეც ფიქრი ახლავეა საჭირო (წინამდებარე წერილის ავტორები დეკლარაციის პროექტზე, მის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ ვარიანტზე, კარგა ხანია მუშაობენ). კიდევ ერთი დეტალი, რომელიც აგრეთვე გვჭირდება ჩვენი გათვლების დროს: გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, საქართველო, რომელიც წარდგება მსოფლიოს წინაშე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით, არც საჭიროებს აღიარებას, რადგანაც ადრე აღიარებული იყო ოცზე მეტი ქვეყნის მიერ. თუმცა პრობლემა გარკვეულწილად მაინც რჩება: ჩვენ ყველა შემთხვევაში გვჭირდება პროგრესული მსოფლიოს მხარდაჭერა იმისათვის, რომ აღვადგინოთ ისტორიული და სამართლებრივი სამართლიანობა — აღვადგინოთ სახელმწიფო, ოკუპირებული და შემდეგ ანექსირებული, ხოლო ფაქტიურად ინკორპირებული სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ყველა შემთხვევაში ცდება ის (მათ შორის — ჩვენშიც), ვინც მიიჩნევს, თითქოს საქართველოში ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი მიმდინარეობს. საქართველოს თვითგამორკვევა 1918 წ. 26 მაისს მოხდა და ეს ცივილიზებულ კაცობრიობას ახსოვს. დღეს დგება ჟამი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა, რაც პასუხისმგებლობას აკისრებს მსოფლიოს უკლებლივ ყველა დემოკრატიულ ძალას. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ დეტალს უნდა მიექცეს ყურადღება. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ აძალებდა ცენტრი ბალტიის ქვეყნებს რეფერენდუმის ჩატარებას, გამორიცხული არაა, მან იმავე ხერხს კვლავაც მიმართოს სავსებით გასაგები მიზეზების გამო. რეფერენდუმის კამპანიის წამოწყება ამ საკითხის ირგვლივ ჩვენთვის ორი მიზეზის გამო გამოირიცხება. ჯერ ერთი, საქართველო არ შესულა საბჭოთის შემადგენლობაში საყოველთაო ეროვნული კენჭისყრის საფუძველზე; ხსენებული კამპანიის წამოწყება ჩვენთვის იქნებოდა ფაქტიურად იმის აღიარება, თითქოს გვსურს კანონიერად, ყველა წესის დაცვით, გამოსვლა კავშირიდან, მაგრამ განა შეიძლება გამოხვიდე იქიდან, სადაც არ შესულხარ? — თვით ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საბჭოთა კავშირია, სადაც ყველაფერი შეიძლება, ეს ალოგიკურად აღიქმება. მეორეც, ჟენევის კონვენციის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეფერენდუმის ჩატარება იკრძალება.

აქვე უნდა გავიმეოროთ და ხაზი გადავუსვათ ადრე ჩვენს მიერ უკვე თქმულს იმის შესახებ, რომ დღევანდელ საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს შემდეგი პრინციპი: დამოუკიდებლობა, ეს არის ფაქტის და არა უფლების (სამართლის) საკითხი.

დასკვნა: ჩვენს პოლიტიკურ პრაქტიკაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ორივე შესაძლებლობის სინქრონულ აპრობირებას. არსებობს რეალურად ასეთი არჩევანი: მეტროპოლია ან გვაღიარებს, ან არა. თუ განხორციელდა პირველი, პრობლემები იხსნება. მაგრამ თუ მეორე განხორციელდა, არც მაშინ იქნება კატასტროფა; ამ შემთხვევაში მესამე ქვეყნების მხრიდან აღიარება, მხარდაჭერა და დახმარება უნდა მოვიდეს, ხოლო მეტროპოლიის მხრიდან ნერვებზე თამაშის პერიოდის შექმნა (ბლოკადით და ა. შ.), რაც საკმაოდ ოსტატურად ხორციელდება დღეს ბალტიის მიმართ, უნდა აღვიქვათ როგორც პრელუდია გადამწყვეტი მოლაპარაკებების წინ.

აქ ალბათ დროა დავაყენოთ საკითხი ჩვენი პოლიტიკის შესახებ სსრკ-ს და რსფსრ-ს მიმართ. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკა დღეს და უახლოეს მომავალში ფაქტიურად დაიყვანება მოლაპარაკებების ტაქტიკაზე, რამაც, შესაძლოა, გარკვეული ხნით ბუნებრივად უკანა პლანზე გადაწიოს ურთიერთობათა სხვა ასპექტები, კერძოდ პოლიტიკურ ძალებთან, პირველ რიგში დემოკრატიულ მიმდინარეობებთან, კონტაქტები, აგრეთვე კულტურული და ეკონომიკურიც კი კავშირები — ყველაფერი ეს ყოველთვის არაა აუცილებელი განხორციელდეს სახელმწიფოებრივი მოლაპარაკებების გზით. რაც შეეხება საკუთრივ ტაქტიკას და პერსპექტივას, უნდა გამოვთქვათ აზრი, რომ საჭიროა კურსი აღებული იქნას საბოლოოდ გარკვეული პრეტენზიების განცხადებამდე მიდის. ამასთან დაკავშირებით, ჩვენმა პარლამენტმა უნდა მიმართოს თხოვნით სსრკ-ს 11 რესპუბლიკას, რომ შემოუთვალონ, აქვთ თუ არა ტერიტორიული ან რაიმე სხვა პრეტენზია საქართველოს მიმართ. ეს არ იქნება რიტორიკული ხასიათის შეკითხვა—თუნდაც იმიტომ, რომ წინ გვიდევს ბალტიის ქვეყნების მაგალითი, კერძოდ — ლენინგრადის პრეტენზია ესტონეთის მიმართ და ბელორუსიისა ლიტვის მიმართ. ამ პირობებში, როგორც ჩანს, სასურველია შეიქმნას კომპეტენტური ჯგუფი, რომელიც ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამ ასპექტს მიხედავს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი იდეა პარალელური მოლაპარაკებების (წინასწარი პარალელური ზონდირების და ა. შ.) შესახებ ემყარება შემდეგ, არცთუ უსაფუძვლო, მოსაზრებას: რუსეთის ფედერაცია, მისი დინამიზმი, მისი სურვილი, იყოს ჭეშმარიტი და არა ფიქტიური პოლიტიკური ძალა, წარმოადგენს (და განსაკუთრებით მომავალში იქნება) კატალიზატორს სსრკ-სთვის; უკვე დღესვე ფაქიძლება მოვიდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე წარმატებით განხორციელდება მოლაპარაკება სსრკ-სთან; ეს შესაძლებლობა იმიტომ არ არის გამორიცხული, რომ უცხოეთში ჯერ კიდევ არსებობს ტაქტიკა, დაკვირვებით უყურონ საბჭოთა პარტნიორის მოლუშულ შუბლს. თუმცა არც ჩვენი მოვლენების დინამიკაა დასავიწყი, რაც უკვე ცვლის და, ყოველ შემთხვევაში, მომავალში შეცვლის უცხოეთის სახელმწიფოთა მოქმედებას.

ერთი საგულისხმო დეტალი. ამ სტატიის ერთ-ერთ ავტორს, როგორც საზოგადოება „საქართველო-ისრაელის" პრეზიდენტს, ისრაელში ყოფნისას გასულ თვეში შესაძლებლობა ჰქონდა პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ბ-ნ შილანსკისთვის, ეკითხა: საქართველოსთან დღევანდელი და ჩვენი დამოუკიდებლობის შემდეგდროინდელი ურთიერთობების აგებისას თქვენს ქვეყანას გარკვეულწილად ხომ არ შეუშლის ხელს მოსკოვის, კერძოდ მასთან დაკავშირებული თქვენი ინტერესების, ფაქტორი? პასუხი — სხვათა შორის მოჭრილი — დაახლოებით ასეთი იყო: ჩვენ თავისუფალი ქვეყანა ვართ, ჩვენ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ ჩვენით, კონტაქტებსაც ვამყარებთ ჩვენით; ამ კონტექსტში საქართველოს რაც შეეხება, ზოგ ქვეყანასთან შედარებით (აქ ნახსენები იყო თავისუფლების გზაზე დღეს მტკიცედ შემდგარი ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა), ჩვენ მას უპირატესობასაც მივანიჭებთ, და ჩვენი შესაძლებლობების მიხედვით, მის გვერდით დავდგებით, რადგანაც ვიცით და გვახსოვს, როგორი დამოკიდებულება იყო და არის თქვენთან ებრაელების მიმართ.

საბოლოოდ, ჩვენ იმავე თეზისს ვუბრუნდებით, რაზეც დასაწყისში გვქონდა მსჯელობა: პოლიტიკა, შიგა თუ საგარეო, შორეულ თუ ახლო პარტნიორებთან ურთიერთობისა, შეთანხმებული და ერთი მთლიანი უნდა იყოს.

მაგალითად, იმავე მოლაპარაკებებთან (მოსკოვთან) დაკავშირებით ჩვენ მსოფლიოში არსებული განწყობილებებიც უნდა გავითვალისწინოთ. მოლაპარაკებების დაწყების წინ, ჩვენ, როგორც ჩანს, აგრესიული ტონი და მკვეთრი ულტიმატუმები განზე უნდა გადავდოთ. სულაც არ არის ერთადერთი და აუცილებელი, თავიდანვე აღიარონ საქართველოს ოკუპაცია (ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკი ერთ კაცზე არ არის — უნდა აღიაროს სსრკ უზენაესმა საბჭომ და სახალხო დეპუტატთა ყრილობამ). გარდა ამისა, ჩვენ აუცილებლად უნდა გვინდოდეს მონაწილეობა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირში, ევრო-პარლამენტის თუ გაეროს სხდომებში და სხვ. მოლაპარაკებებში, ჩვენი აზრით, წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საქართველოდან სსრკ შეიარაღებული ძალების გაყვანის საკითხი. ჩვენ აქაც მსოფლიო პოლიტიკის რეალიებს უნდა დავეყრდნოთ: ცენტრალურ ევროპაში ეს პროცესი უკვე დაიწყო, და დაიწყო გონივრულად. ამიტომ არ არის გამორიცხული, შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ განდევნის ლოზუნგს მსოფლიოს პროგრესულმა ნაწილმაც კი არ დაუჭიროს მხარი — სამხედრო ვითარების მკვეთრი, სწრაფი და თვისებრივი შეცვლისთვის არც დასავლეთი არ არის უმალვე მზად, არც აღმოსავლეთი. ახლო საზღვარგარეთთან ჩვენი დამოკიდებულება შორი საზღვარგარეთის დიდი პოლიტიკის ინტერესების გათვალისწინებასაც გულისხმობს. ამიტომ, შესაძლოა, უფრო პროდუქტიული იყოს ჯარების გაყვანის ეტაპობრივი ვარიანტი, რაც, პირველ ყოვლისა გვიკარნახებს მოვიტია, რომ რუსეთი უფროა მზად მოლაპარაკებისთვის, ვიდრე სსრკ, რომელსაც ამ მიმართულებით არც მექანიზმი შეუმუშავებია, არც კონცეფცია გააჩნია — აქვს მხოლოდ საკმაოდ სოლიდურად მოფიქრებული ტაქტიკა ბლოკადისა, სამხედრო მანევრებისა და ა. შ.

ბალტიის ქვეყნებში დღეს ერთობლივი მუშაობაა გაჩაღებული საერთო პრობლემების გადასაწყვეტად საერთო ოპონენტის წინაშე. სქემატურად შეიძლება დავინახოთ ფორმულა „3+1". თვითგამორკვევის შემდეგ ჩვენ სტრუქტურულად ამ ქვეყნებს დავემგვანებით (უამრავი, მათ შორის პრინციპული, განსხვავებების მიუხედავად). მაშინ რატომ არ ვიფიქროთ ფორმულაზე „4+1"? ამ შემთხვევაში უფრო შორს წასვლა შეიძლება— შეიძლება გამოსვლა ინიციატივით, შეიქმნას თვითგამორკვევის გზაზე შემდგარი რესპუბლიკების საბჭო (რა თქმა უნდა, ამ დროს არ დაივიწყება რეგიონული დაყოფის პრინციპიც). მოვლენათა განვითარების ზუსტი პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია — ამიტომ უნდა ვემზადოთ სხვა ვარიანტისთვისაც, კერძოდ ფორმულისათვის „1+1". როგორ უფრო სიმპათიურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს პირველი ფორმულა, ჩვენ მეორისთვისაც უნდა განვეწყოთ წინასწარ. მით უმეტეს, რომ არ არის გამორიცხული, კრემლისთვის მისაღებიც სწორედ ის იყოს (გარდა ამისა, ჩვენ ჯერ არ ვიცით ბალტიელთა აზრი ამ საკითხის შესახებ) ისევე, როგორც არ გამოირიცხება, რომ ცენტრს არ აწყობდეს თხუთმეტჯერ აკეთოს „1+1". ერთი სიტყვით, ვარიანტები არსებობს, მათზე მსჯელობა ახლავეა აუცილებელი, ხოლო გადაწყვეტილებები მომავალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს. ჩვენ ჩვენი მხრივ გვინდა დავუბრუნდეთ ამ პრობლემებს პარლამენტის არჩევნების შემდეგ.

ახლა ოდნავ შევეხოთ შორ საზღვარგარეთსაც.

პრობლემა (პოლიტიკური თუ დიპლომატიური) აქ პრაქტიკულად აღიარება-არაღიარების ალტერნატივაზე დაიყვანება. აღარ დავუბრუნდებით წერილის დასაწყისში დახატულ სქემას ამ საკითხზე, გავიმეორებთ მხოლოდ, რომ ფიქრი და მოქმედება ორივე შესაძლებელი მიმართულებით უნდა წარვმართოთ და გავითვალისწინოთ ყველა მოსალოდნელი მოდიფიკაცია. კონკრეტული პროგნოზებიდან აღვნიშნავთ, რომ უცხოეთში შეიძლება აიღონ კურსი დიპლომატიურ ლოდინზე, ამ ვარიანტის მიხედვით, ოფიციალური აღიარება შე-

ბულ იქნას პარალელურ მოლაპარაკებასთან — სსრკ-სთან და რსფსრ-სთანაც. დღეს განვითარების დინამიკა პირდაპირ ზღაპრულია, შედეგად — ჯერ ერთი, რუსეთის ფედერაცია ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ხდება პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა, მეორე მხრივ, სსრკ, ყოველ შემთხვევაში — გარკვეულ ასპექტებში, სულ უფრო და უფრო ხდება, ჩვენი დახმარებითაც, არცთუ მთლიანად და სრულად ნათელი ობიექტი (იმ დროისთვის, რომელზეც ჩვენ ვმსჯელობთ, საქართველო, როგორი პოზიციაც არ უნდა ჰქონდეს სსრკ-ს, არ იქნება მისი წევრი; სამართლებრივი ნორმების მიხედვით, იგი არც დღეს არის წევრი, ისევე, როგორც ესტონეთი, ლიტვა და ლატვია — ამაზე სრულიად არაორაზროვნად განაცხადა ბალტიის ქვეყნების საბჭომ, — ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მომავალ მოლაპარაკებათა დაგეგმვისას სასურველია ამ ქვეყნებთან ერთად გამოვიმუშავოთ გარკვეული პოზიცია).

სრულიად გასაგებია, როგორი უნდა იყოს მოლაპარაკებებში ჩვენი ფუნდამენტური პოსტულატი: იურიდიული თვალსაზრისით და სამართლებრივი პოზიციებიდან არსებობს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველაფერი დანარჩენი ამ პოსტულატზე აიგება. საქართველო აღადგენს თავის სახელმწიფოებრიობას ipso jure (კანონის ძალით), რის შემდეგაც იზრუნებს ან თავისი სუვერენობის აღიარებაზე de facto ან, თავისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე მესამე ქვეყნების აღიარების გზით, საერთაშორისო მოვალეობათა შესრულებაზე და ა. შ., რაც მას, საქართველოს, დაეხმარება ipso facto გახდეს მსოფლიო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი.

არსებობს ჩვენი მოქმედების კიდევ ერთი მიმართულება. დღევანდელი პარადი თუ ფიესტა სუვერენიტეტებისა, რაც განახლებული ფედერაციის შიგნით მიმდინარეობს, შესაძლოა ბოლომდე არ აღიქმება, ან დიდი გაჭირვებით აღიქმება ცენტრის მხრიდანაც და რესპუბლიკების (და არა მარტო მათი) მხრიდანაც; ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ამბიციურად გამოიყურება და ფაქტიურად იმ აზრს ამჟღავნებს, რომ მათგან, როგორც სრულიად დამოუკიდებელ ერთეულთაგან, დაუკითხავად არავითარი იდეა არ უნდა იქმნებოდეს, რაც

პოვოთ ამომწურავი ინფორმაცია ჩვენთან დისლოცირებული შენაერთების, არსებული სამხედრო ბაზების და ა. შ. შესახებ. ჩვენმა პარლამენტმა, პირველ რიგში, ბირთვული იარაღით აღჭურვილი ნაწილების გაყვანა უნდა მოითხოვოს. (თუ ასეთები არ არსებობს, უნდა მივაღწიოთ მტკიცე გარანტიას, რომ ისინი არ გაჩნდებიან); ამიტომ ჩვენი გარდამავალი პერიოდის საწყისი, ფუნდამენტური ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის უბირთვო და ნეიტრალურ ზონად გადაქცევა. მეორე ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება შემტევი ძალების გაყვანა, მესამეზე — თავდაცვითი საშუალებებისა. მხოლოდ ამ გზით შეექმნებათ დასავლეთის ქვეყნებს საშუალება საპასუხო ზომების მიღებისათვის და ძალთა ბალანსის დარღვევის თავიდან აცილებისათვის.

გასათვალისწინებელი ყველაფერია. პირველ რიგში, ასეთი შესაძლებლობა: არ არის გამორიცხული, რომ ცენტრს დღეს შექმნილ სიტუაციაში არა საკუთრივ მოლაპარაკება სჭირდება, არამედ მისი დაწყების ფაქტი (ნიშანდობლივია, რომ ბ-ნი ვიტაუტას ლანდსბერგისი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ მაქსიმალურად გააჭიანუროს მოსკოვთან დიალოგის დაწყება).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ისევ და ისევ შექმნილ სიტუაციაში, მოსკოვისთვის მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ და მხოლოდ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების ბედზე ზრუნვას შეიძლება ნიშნავდეს — მოსკოვი შეეცდება ამ ხელშეკრულებით და კონფედერაციით მოაწონოს თავი პარტნიორს. აქაც სიფრთხილეა საჭირო. და ისევ საერთაშორისო კონიუნქტურის გათვალისწინება: ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, შესაძლოა, დღითიდღე უმაგრებს პოზიციებს სსრკ-ს; ჩვენ პასუხისთვის მზად იმითაც უნდა ვიყოთ, რომ ამ კონფლიქტის განვითარებას გამუდმებით ვადევნოთ თვალი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიალოგის დაწყება სერიოზული მომზადების გარეშე გამორიცხულია. დაუყოვნებლივი მოლაპარაკებების დაწყების მომხრეებს გვინდა შევახსენოთ, რომ, სხვათა შორის, ლიტვასთან მოლაპარაკების საკავშირო კომისია ეკონომიკურ პრობლემატიკას არ სცილდება — ამჟამად ჩვენთვის სულერთია, რა მიზეზს დავინახავთ, ორთოდოქსულ შოვინიზმს, თუ ლიტვის ელასტიურ ანსამბლთან შედარებით მოუქნელ საკავშირო მანქანას, თუ კომისიის ობიექტურ გაჭირვებას დამოუკიდებლობის პრობლემებზე საუბრის წინაშე.

მკითხველს (დღეს იგი, როგორც წესი, ეჭვიანია) აუცილებლად გვინდა განვუმარტოთ, რომ ყველაფერი, რაც ითქვა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვენს სურვილს ვიქადაგოთ ცენტრალური ხელისუფლების არგალიზიანების და აპრიორული დათმობების პოლიტიკა. პირიქით — ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება თავისუფლებას ესწრაფოდე და ამავე დროს ნებისმიერ ფასად ზრუნავდე ცენტრთან (იმ დროისთვის — ჩვენთვის ყოფილ ცენტრთან) მეგობრობის შენარჩუნებაზე. ჩვენ მეგობრობა კი არ გვჭირდება, არამედ საქმიანი ურთიერთობა, რაც მეგობრობაზე გაცილებით მეტია. გარდა ამისა, ახლავე უნდა მოვემზადოთ მომავლისთვის: თუ ჩვენ დამოუკიდებლობის გზა ავირჩიეთ, დღეიდანვე უნდა ვიყოთ მზად თავგანწირვისათვის, პირადი მოწამეობისათვის. თუ ჩვენ გვინდა ჩავასხათ ყოველდღიურად 40 ლ. ბენზინი ჩვენს მანქანაში, თავისუფლად ვიყიდოთ ყავა და ა. შ., ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კომპრომისზე მივდივართ; მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ მოგება ამ შემთხვევაში მხოლოდ დროებითი გვექნება, ხოლო გაჭირვება — ყოველთვის გარდაუვალი. გზა ჩვენ არჩეული გვაქვს და ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გზაზე ჩვენი გაჭირვება დროებითი, ხოლო მოგება — მომავალში გარდაუვალი იქნება. იმპერიაში საკმაოდ არიან გონებამახვილი ადამიანები — ისინი განსაზღვრავენ, რომ ქართველს დამოუკიდებლობაზე უარს ვერაფრით ათქმევინებენ, მხოლოდ ერთი სავარაუდო გზა არსებობს — დისკომფორტი და ეკონომიკური სიდუხჭირე შეუქმნა (უკვე გამოცდილი იარაღი: გავიხსენოთ, რომ მოსკოვსა და ლენინგრადშიც კი დემოკრატების წარმატების შემდეგ უმალ მკვეთრად გაუარესდა სასურსათო უზრუნველყოფა; ხოლო სიგარეტის დეფიციტის შექმნას, როდესაც მთელ საბჭოეთში ერთიანად დაიხურა ძირითადი ქარხნები, პროვოკაციის გარდა, ვერაფერს ვუწოდებთ).

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვემზადოთ, ხოლო ამისათვის მომავალ ეკონომიკურ სტრუქტურებზეა საჭირო ზრუნვა. აქ მოკლედ შემდეგი შეიძლება ითქვას: ჯერ ერთი, ჩვენ უნდა ერთხელ და სამუდამოდ ვთქვათ უარი სოციალიზმის პრინციპების დამკვიდრებაზე, მეორეც, უნდა ვეცადოთ საბაზრო ეკონომიკის განხორციელებისას შეძლებისდაგვარად თავიდან ავიცილოთ სოციალური კატაკლიზმები — ეს პარლამენტის ლეგიტიმიზმსაც შეუქმნის საფრთხეს და მომავალ სუვერენიტეტსაც. ეკონომიკის ფეხზე წამოყენების პროცესი, ჩვენი ვარაუდით, 5-6 წელს გაგრძელდება—ეს ჩვენი გამოცდის წლები იქნება.

კიდევ ერთი ამოსავალი დებულება: დამოუკიდებლობა ჩვენ არა იმისთვის გვჭირდება — და ამას ხაზი ახლავე უნდა გაესვას, — რომ ჩვენს ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, არამედ იმისთვის, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საერთოევროპული სახლის შენებაში. ეს ჩვენი საგარეო ორიენტაცია, მისი ფუძემდებლური დებულება უნდა იყოს (ვეცდებით, ამაზე ცალკე ვისაუბროთ). თქმულში შემხვედრ ამოსავალ დებულებასაც ვგულისხმობთ: იმ ობიექტური ინტეგრაციული პროცესებისთვის, რომლებიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, მთავარი წინაპირობა აბსოლუტური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და თავისუფალი ნებაა.

დასასრულ, კონკრეტულ დღევანდელობას მივუბრუნდეთ. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს სუვერენიტეტის იურიდიული დასაბუთება და მისი ოფიციალური აღიარება ამჟამად მხოლოდ ერთი მთავარი წინაპირობით წარმოგვიდგება: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩაივლის არჩევნები და როგორ პარლამენტს მივიღებთ შედეგად. ამაზე ზრუნვა ყოველდღიურადაა აუცილებელი. მცირე-მცირე კომპრომისებზე წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. არ შეიძლება ისიც, რომ თვალი დავხუჭოთ გარკვეულ დეტალებზე, რომლებიც ზოგჯერ აშკარად დამაფიქრებელია. დამაფიქრებელია, მაგალითად, ის, რომ საარჩევნო კანონის რეალიზაცია და ბლოკების სტრატეგია ჯერჯერობით, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ შედეგს გვაძლევს, რომ ინტელიგენცია ფაქტიურად მოიკვეთება — თუ არჩევნებიდან არა, პარლამენტიდან ყველა შემთხვევაში; მოიკვეთება ინტელიგენცია, მოიკვეთება ინტელექტი — მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ბლოკებისა და პარტიების სიებში პირველი — მეორე — მესამე ნომრების ხარჯზე აბსოლუტურად უვარგისი ადამიანებიც შევიდნენ პარლამენტში. ეს სრულიადაც არ არის გამართლებული მიზანი. ეს არც ხელისუფლებისთვის ბრძოლაა.

გვინდა გავიმეოროთ, რომ ჩვენი მომავალიც და ჩვენი აღიარებაც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, ცნობენ თუ არა ჩვენს გარეთ ჩვენს არჩევნებს დემოკრატიულად და შეხედავენ თუ არა ჩვენს პარლამენტს სერიოზულად. ჩვენ ამისთვის სათანადო ძალ-ღონეც უნდა გამოვიჩინოთ და სათანადო ზნეობაც. ისე არ მოხდეს, რომ საქართველოს ყველაფრის დაწყება თავიდან, ნულიდან, მოუხდეს.

ყველაფერი — ან თითქმის ყველაფერი — ჩვენზეა დამოკიდებული.

**აპოლონ სილაგაძე,**
**ვახტანგ ტატუნაშვილი.**

# ან ერთად ვიქნებით,



# ან ერთად გავქრებით...

— თქვენ გყავთ სახლში ძაღლი? გელიმებათ?!

სხვა არც არაფერი უნდათ საერთაშორისო ორგანიზაციის „Friendship Force“ „მეგობრობის ლაშქრის“ ორგანიზატორებს...

ამ ორიოდე დღის წინ თბილისში, იორის ქუჩაზე ოფიციალურად გაიხსნა „მეგობრობის ლაშქრის“ ოფისი, რომელსაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი ბატონი უოენ სმიტი, საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი ბატონი არჩილ გოგელია და სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური პირნი ესწრებოდნენ, პირნი, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ ორგანიზაციის შექმნაში... იდეა კი ბატონ სმიტს და ჯიმი კარტერს, ჯერ კიდევ არა პრეზიდენტს, არამედ ჯორჯიის შტატის გუბერნატორს, 1977 წელს გაუჩნდათ... იდეა კი გაუჩნდათ, მაგრამ როგორც ბატონმა სმიტმა ბრძანა, მაშინ იმედი თითქმის არც იყო.

ბატონი უოენ სმიტი სამღვდელო პირია, თუმც, „მეგობრობის ლაშქარი“ არ არის რელიგიური ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახთა გაცვლა-გამოცვლა და მოგზაურობა ხდება ამ ორგანიზაციის მეშვეობით, არც ტურისტულია „მეგობრობის ლაშქარი“, არც ამერიკული დოქტრინისა და ფილოსოფიის პროპაგანდაა მისი მიზანი — ეს არის უბრალოდ, ყოველგვარი მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც უბრალო ამერიკელ ადამიანებს აცნობს უბრალო ქართველ ადამიანებს და ერთადერთი მიზანი სიყვარული და მეგობრობაა.

არცერთ ქვეყანას არ აქვს ის ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება. ოჯახური სითბო ადამიანური ურთიერთობა — ამას სწავლობენ ისინი ჩვენგან.

ჩვენ?...

„მეგობრობის ლაშქარმა“ ჯერ მხოლოდ ერთხელ გაცვალა ოჯახები. ოქტომბერში მეორე ჯგუფი წავა... ორგანიზატორები ალბათ თბილისის პატარა მოდელს გაუშვებენ შეერთებულ შტატებში.

ბატონ უოენ სმიტს ყველა ქართველი ერთნაირად უყვარს იმიტომ, რომ ღიმილი აქვთო თბილი, ურთიერთობა ერთგული და კიდევ... ადამიანი ჩვეულებრივი ხეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფესვები მიწაში კი არა, სხვა ადამიანებში აქვს გადგმული და თუნდაც ერთი ფესვის მოჭრა, გაახმობს. ამიტომ, ყველანი ერთად ვიარსებებთ ან ერთად გავქრებით...

„მეგობრობის ლაშქარი“ • მომღიმარი და თბილი ადამიანების განკარგულებაშია.

**მაია ჯალაღანიძე**
**ხაჭანფორჩის ფოტო.**

სრულიად საქართველოს
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ტელ. 93-66-13. „——“ № 65
ქ. თბილისი, მაჩ-ბლის ქ. № 11

ალტერნატიული კუთხე

# მიმართვა

## საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი

1990 წლის 8 სექტემბერს გაზეთში „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების განცხადება, რომელშიც გამოთქმული იყო უკმაყოფილება იმის გამო, რომ 1990 წლის 29 მაისის საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელის გამო გარიცხული გამგეობის ყოფილი წევრის გ. გოგბაიძისა და მისი მცირე ჯგუფის მიერ ხდება საზოგადოების სახელის მითვისება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ეს ჯგუფი წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელს ურთავდა განმარტებას — „ფორუმის მომხრეები“ და ამით ეს ჯგუფი ცალსახად გამოხატავდა თავის პოლიტიკურ მიმართულებას და გარკვეულ წილად ადასტურებდა ყრილობის გადაწყვეტილების მართლზომიერებასაც. რაკი იგი უკანასკნელი „თვითგამორკვეული ორგანიზაციაა“, რომელიც წმინდა ილია მართლის წიაღში „აღმოცენდა“ (როგორც ცნობილია, ჩვენი საზოგადოების წიაღში ჩაისახა და პოლიტიკურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, დემოკრატიული პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება), უპრიანია ამ ახლადშობილ პოლიტიკურ კასტას ვუწოდოთ „ნაბოლარა“. ამ სახელდების საფუძველს აშკარად იძლევა დასახელებული „ორგანიზაციის“ ყოვლად გაუმართლებელი თავხედური ამბიციები და უსაკუთათვის ნიშანდობლივი უსირცხვილო სითამამე.

არსებული სისტემის ყოფის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედი ადამიანი გადააქცია აბსოლუტურად უინიციატივო არსებად. ეს განსაკუთრებული სიცხადით ჩვენდა სამწუხაროდ ამ ჯგუფის მესვეურების ბუნებაში გამომჟღავნდა (იხ. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“ — 13. 09. 90 წ.), წინააღმდეგ შემთხვევაში, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ მცირე ფანტაზიის გამომჟღავნების შემდეგ, მხედველობაში გვაქვს დამატება საზოგადოების სახელწოდებაში — „ფორუმის მომხრეები“-ც, სადღაც გაქრა და დაგვრჩა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის, საზოგადოება(!). ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს აგრეთვე წმინდა ილია მართლის საზოგადოების „ნაბოლარას“ ყოვლად უსუსური პროტესტი აქაოდა სამტრედიის და ადიგენის მსგავს „ღონისძიებებში“ ჩვენ არ გვიგულისხმოთო. ამ ორი თვისობრივად განსხვავებული ქმედების ერთ კონტექსტში მოქცევა შემთხვევითი არ არის. „ჩვენთვის გაუგებარია, რა სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებით სარგებლობენ ჩვენი ყოფილი თანამებრძოლნი...“ რიტორიკულად კითხულობენ განცხადების ავტორები. ამას ჰქვია, ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. აქაც გამომჟღავნდა მითვისების მავნე თვისება. ეს თვითმარქვია ჯგუფი იმის თქმის მითვისებას ცდილობს, რისი თქმის სრული უფლება ყველა მორალური უფლების გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში ჩვენ გაგვაჩნია. ადიგენში მომხდარი თავდასხმის ინიციატორი რომ წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის მონაჭორი ვერსიაა მხოლოდ, რაზედაც მას უკვე გაეცა პასუხი. აქ „ნაბოლარას“ ნუ ექნება ამ ვერსიის საავტორო უფლების პრეტენზია. ხოლო სამტრედიის ცნობილი აქცია რა მიზნებს ემსახურებოდა და რა შედეგიც იქნა მიღწეული, ეს საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი. მხოლოდ ეროვნული მოძრაობის თავგამოდებული „პატრიოტების“ და ეროვნული მოძრაობის აშკარა მოწინააღმდეგეების მცდელობა გახლდათ სამტრედიის აქცია საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადად მოენათლათ. აქ „ნაბოლარას“ ფანტაზიის უნარის დეფიციტის აშკარა სურათია სახეზე. ამ ორი მოქმედების ერთ კონტექსტში მოქცევა რომ „ნაბოლარას“ შემოქმედების ნაყოფი არ არის, ესეც ადვილი მისახვედრია ჩვენთვის. თუმცა კი, რა გასაკვირია, როდესაც თითქმის 45-კაციან ჯგუფს არ აქვს იმის უნარი, თავისი შეხედულებებისა და მრწამსის გათვალისწინებით დაირქვას სახელი და უკვე არსებულის მითვისება ძალუძს მხოლოდ, როგორ შეძლებს ისეთ რთულ საკითხში, როგორიც პოლიტიკაა, გამოამჟღავნოს მცირე ფანტაზიის უნარიც კი. ბევრი ვიფიქრეთ, რა სახის პასუხი გაგვეცა „ნაბოლარასათვის“. მხედველობაში გვაქვს, თუ რა ფორმით და რა ხერხით იქნებოდა შესაძლებელი მათი დარწმუნება მათივე მოქმედების მცდარობაში. ვთვლით, რომ ხუმრობენ ალბათ გ. გოგბაიძე და ამ ჯგუფის ე. წ. სხვა წევრები, როდესაც აცხადებენ, რომ ჩვენი მოქმედება „ნამდვილი თავაშვებული პოლიტიკური სპეკულაციაა“. მართალია, ეს ხუმრობა საქართველოს ისეთ სერიოზულ გაზეთშია დაბეჭდილი, როგორიცაა „ახალგაზრდა ივერიელი“, მაგრამ, იმედი გვაქვს, ამ გაზეთის რედაქცია და სხვა გამომცემლობები გაითვალისწინებენ გ. გოგბაიძის მიდრეკილებას იუმორისაკენ და არ მისცემენ საშუალებას თავისი ამ მიდრეკილებით თავგზა აუბნიოს დღევანდელ ისედაც რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში თითქმის დაბნევის პირას მისულ ხალხს. ის, რომ არ შეიძლება არსებობდეს ორი „ახალგაზრდა ივერიელი“ ორი სხვადასხვა რედაქტორით, ეს ხომ დღესავით ნათელია, ხოლო 800-კაციან საზოგადოებას გამოყოფილ 45-კაციანი ჯგუფის მცდელობა, მიითვისოს ამ საზოგადოების სახელი რომ უზნეობაა, ამასაც არ სჭირდება ბევრი მტკიცება.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული, ამასთან, ჩვენს მიმართვას ვურთავთ სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის I ყრილობის ოქმის ამონაწერს, მის პროგრამა-წესდებას და სიმბოლიკას (ღერბს, ბეჭედს, სატიტულო ფურცლის ნიმუშს) და აგრეთვე ინიციატივას — ვერსიას — აღნიშნულმა ჯგუფმა დაირქვას სახელი „ნაბოლარა-კონგრესმენი“. და კვლავ თუ გაგრძელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათი წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით მოთ·ენიება, ჩვენ მთელი სერიოზულობით ვაცხადებთ, რომ მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომებს.

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება**

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების I ყრილობა. (1990 წლის 29, ვარდობისთვე).**

**(ოქმის ამონაწერი)**

**დღის წესრიგი:**

**1. საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.**

**2. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წესდების დამტკიცება;**

**3. საზოგადოების გამგეობის, მისი თავმჯდომარისა და სათათბიროს არჩევნები.**

... პირველ საკითხთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: ილია მართლის საზოგადოების წევრთა ნაწილმა გამგეობის ყოფილი წევრის გურამ გოგბაიძის მეთაურობით სცადა საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა — ე. წ. ფორუმის მომხრეთა ფრაქციის ჩამოყალიბება. მას შემდეგ, რაც ყრილობამ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გურამ გოგბაიძის ხანგრძლივ და ბუნდოვან განმარტებებზე, მან და მისმა მომხრეებმა ყრილობის მუშაობის დეზორგანიზაციის აშკარა მცდელობის მიზნით დატოვეს ყრილობა.

ყრილობამ დაადგინა, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრები საზოგადოების გახლეჩვისა და დისკრედიტაციის ცდისათვის გაირიცხონ საზოგადოებიდან...

...ყრილობაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება.

წარმოდგენილი პროექტის ცალკეული მუხლების დაზუსტებისა და შევსების შემდეგ, ყრილობამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება.

ყრილობაზე შედგა წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევნები. აირჩიეს საზოგადოების სათათბირო.

ყრილობამ აირჩია საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თედო პაატაშვილი, თამაზ გველესიანი, მერაბ ურიდია, მიხეილ მჭედლიშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, ვანო ტურაშვილი.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად დამტკიცებულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია.

საზოგადოების სათათბიროში შევიდა საზოგადოების ფილიალების ორ-ორი წარმომადგენელი, სულ 32 წევრი.

ამით ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

# საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ 11 სექტემბერს დაბეჭდილ „მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმში“ იმდენი გესლი, ბოღმა და ცილისწამებაა გადმონთხეული, რომ მთელი ამ სიბინძურის ჩამორეცხვის არც დრო და არც სურვილი არ გაგვაჩნია. ჩვენ ამ მოზრდილი პასკვილის მხოლოდ ცენტრალურ მესამე სვეტს განვიხილავთ, რომელიც ეროვნული კონგრესისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ლანძღვას შეიცავს.

„მემორანდუმის“ ეს ნაწილი იწყება ეროვნული კონგრესის მხარდამჭერთა „ცრუეროვნულ პარტიებად და ორგანიზაციებად“ გამოცხადებით და რომ „სწორედ ასეთი ფარული გარიგება დაიდო კომუნისტურ პარტიასა და ე. წ. კონგრესის ადეპტებს შორის“. მოგეხსენებათ სიტყვა „ადეპტი“ რაიმე იდეის თავგამოდებულ მომხრეს აღნიშნავს. მაგრამ მისი ლათინური ეტიმოლოგიის შესაბამისად (adeptus — შეძენილი) ამ იდეის გვიან შეძენილ მომხრეს გულისხმობს. ჩვენს შორის მართლაც არიან ასეთები — მრგვალი მაგიდის მიერ მოტყუებულ მილიონთა ნაწილი, რომლებმაც გაზაფხულზე (13-15 მარტს) დაუჯერეს მათ მხურვალე მოწოდებას აგვერჩია ეროვნული კონგრესი და არ უწყოდნენ, რომ დადგებოდა იმავე წლის შემოდგომა და მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ლანძღვა-გინებით აიკლებდნენ თავისსავე იდეის ადეპტებს. ეს ამ ორგანიზაციების არათანმიმდევრულობასა და არასერიოზულობაზე მეტყველებს, ხოლო ასეთებს, ჩვენის აზრით არც უმაღლეს საბჭოში და არც ეროვნულ კონგრესში არ უნდა ჰქონდეთ ადგილი.

ჩვენ ყოველთვის გვიკვირდა, თუ მრგვალი მაგიდის არადემოკრატიული, ავტორიტარული განწყობის მესვეურნი რატომ უჭერდნენ მხარს, თუნდაც რაღაც ეტაპზე, ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტს როგორიც ეროვნული კონგრესია. აკი განაცხადა მათმა ერთმა მხარდამჭერმა, რომ „არც დემოკრატია და არც თავისუფლება თვითმიზანი არაა“ (გ. პეტრიაშვილი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 10 აგვისტო). ხოლო მეორე მხარდამჭერმა თ. ქორიძემ (ჰელსინკის კავშირის წევრმა) ტელევიზიით გამოსვლისას დემოკრატიულ დასავლეთ ევროპას ბევრი კახპა უწოდა. სხვებისა არ ვიცით და ჩვენ პროვინციალიზმის, ამბიციურობისა და ელემენტარული გათახსირების ეს „გაელვება“ ქართველი ხალხის შეურაცხყოფად მივიღეთ. თავიანთი პოლიტიკური ცხოვრების ამ მორიგ ზიგზაგს მრგვალი მაგიდა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ხსნიდა. ამჯერად თავიანთ მეტამორფოზას იმით ამართლებენ, რომ „დღემდე ვერ მოიძებნა პრეცენდენტი ასეთი არაოფიციალური სტრუქტურების სამართალ-სუბიექტად ცნობისა“. ჯერ ეს ერთი, სერიოზული პოლიტიკოსები მოძებნიდნენ ასეთ პრეცენდენტს (თუ ის ასე არსებითია) და მხოლოდ შემდეგ მოუწოდებდნენ მთელს ერს შესაბამისი ქმედებისაკენ და მეორეც კონგრესი წარმოადგენს მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად არჩეულ და დემოკრატიულად დაკომპლექტებულ პირველ არასაბჭოურ სტრუქტურას, რომლის ძირითადი მიზანი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასევე დემოკრატიულ საწყისებზე კოორდინაციაა. ღრმად ცდება, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებს მის ამ ფუნქციასა და საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობას.

მაგრამ დაუბრუნდეთ „ფარულ გარიგებას კომუნისტურ პარტიასა და ე. წ. კონგრესის ადეპტებს შორის“. იმავე სვეტში ცოტა ქვემოთ მემორანდუმის ავტორები ამ აზრს ასეთი მონაჭორით „ამაგრებენ“: „საგულისხმოა, რომ კომუნისტური ხელისუფლება დღეს ყოველნაირად მფარველობს კონგრესის არჩევნებს, შესაბამისი შენობებისა და სხვა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფს ამ კამპანიას“. მთელი პასუხისმგებლობითა და სრული კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ, რომ არცერთი სიტყვა ამ ცილისწამებისა არ არის სწორი. დღემდე (12 სექტემბრამდე) ეროვნული კონგრესის საარჩევნო კამპანიის უკვე მეხუთე თვის თავზე, კომუნისტური პარტიის დემოკრატიულ ფრაქციას ჯერ არც ერთი კაპიკი არ შემოუტანია არჩევნების ფონდში, რომლის 2000 მანეთიდან (საკოორდინაციო ცენტრში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენაწირიდან) დღემდე მხოლოდ 500 მანეთია დახარჯული ჩვენი წევრების საქართველოში მივლინების ანაზღაურებისათვის. ამ ფრაქციის არც ერთი წარმომადგენელი ჯერ არ მონაწილეობს ეროვნული კონგრესის არც ერთი დონის საარჩევნო კომისიაში. ჩვენ არ გაგვაჩნია ბენზინის არავითარი სპეცლიმიტები საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად და ჩვენი წევრები თავიანთ პირად მანქანებს, ბენზინის ტალონებსა და შვებულებებს ახმარენ საარჩევნო კამპანიას. არც ერთ რაიონში კომუნისტური პარტიის რაიკომებს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ ჩვენთვის — უკეთეს შემთხვევაში ისინი სრულიად უგულვებელყოფენ ჩვენს წარმომადგენლებს. ჩვენი თხოვნა უზენაესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ, რომ გამოვიყენოთ მათი საარჩევნო უბნების შენობები, დღემდის უპასუხოდ არის დატოვებული. ჩვენი სპონსორი საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის საკითხში საქართველოს სულიერი აღორძინების კავშირი (თავმჯდომარე ბატონი გიორგი მეფისაშვილი), დღემდის არ არის გატარებული მინისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო სტამბა, რომელიც დაგვთანხმდა საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას, ამისათვის წიგნებისთვის გამოუსადეგარ ქაღალდის ნარჩენებს იყენებს (საარჩევნო ბიულეტენის ზომები 5 სმ X 10 სმ იძლევა ამის საშუალებას).

ასე რომ, როგორც მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ პარტიებს მზამზარეული ხვდება კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი უზენაესი საბჭოს არჩევნების სამზარეულო და არ ზრუნავს მასზე, ზუსტად ისევე კომუნისტური პარტიის დემოკრატიულ ფრაქციას ჯერჯერობით მზამზარეული ხვდება ჩვენი თავგანწირული შრომის შედეგი ეროვნული კონგრესის არჩევნების მომზადების საკითხში.

რაც შეეხება კომუნისტური პარტიის დემოკრატიულ ფრაქციას, მან შეასრულა ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის ყველა მოთხოვნა. ამიტომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა იგი და შეიტანა საარჩევნო ბიულეტენში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კონტიგენტის შეზღუდვა ნებისმიერ არჩევნებში და ამისათვის პიკეტების მოწყობა, მაშინ, როცა დემოკრატიულად არის დაკომპლექტებული ამომრჩეველთა კორპუსი, შეურაცხყოფს საქართველოს მოსახლეობას, ვინაიდან გარკვეულად უნდობლობას უცხადებს მას.

დაუკვირდით „მემორანდუმის“ შემდეგ სიტყვებს: „ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას ჩამოცილებულ კომუნისტურ პარტიას აღარ ექნება ამ პროცესების შეჩერების შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში იგი სცენაზე გამოიყვანს თავის უკანასკნელ დასაყრდენს, ე. წ. „კონგრესს“, რომლის საშუალებითაც შეეცდება დაამხოს ეროვნული პარლამენტი და გამოიწვიოს ძმათა შორის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი“. ავადმყოფური გონების ბნელ ხვეულებში დაბადებულ ამ ფანტასმაგორიას შეიძლება სერიოზული პარტიები აწვდიდნენ ხელს? და საერთოდ რა ხდება, ხალხო?! ნუთუ ყველა ეროვნული მოძრაობის მონაწილე, რომელსაც მრგვალი მაგიდის წევრთაგან განსხვავებული აზრი აქვს, მოღალატე და სუკ-ის აგენტია. მაგრამ ეტყობა მუდმივი ფსიქოზის პირობებში, რომელსაც დიდად უწყობს ხელს მრგვალი მაგიდის გაუაზრებელი, ავანტიურული აქციები, საქართველოს მოსახლეობას შეუსუსტდა ცილისწამების გავრცელების საწინააღმდეგო იმუნიტეტი (კოლექტიური „შიდსის“ ახალ ფორმასთან ხომ არა გვაქვს საქმე?). თორემ როგორ ავხსნათ, რომ მრგვალი მაგიდის მესვეურებმა ცილისწამებებითა და შეურაცხყოფით აიკლეს საქართველო და მისი ინფორმაციის საშუალებანი და ჩვენ გაჩუმებული ვართ. მათ გამოსვლებს ხანდახან დღეში ორჯერ ვისმენთ ტელევიზიით და ამის შემდეგ ცოტა უცნაურად ჟღერს „მემორანდუმის“ მოთხოვნა „კომუნისტური პარტიის მონოპოლიიდან გამოთავისუფლდეს ინფორმაციის საშუალებანი, პრესა, ტელევიზია...“. ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავაყენოთ საკითხი თუ ვისი მონოპოლიიდან უნდა გამოთავისუფლდეს დღეს ჩვენი ინფორმაციის საშუალებანი კომუნისტური პარტიის თუ მრგვალი მაგიდის პოლიტიკური პარტიებისა.

ყველასათვის ნათელია, რომ უზენაესი საბჭოს ეკლექტური, ნახევრად მაჟორიტარული და ნახევრად პროპორციული საარჩევნო კანონი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სატრაბახოდ და „ეროვნული ოპოზიციის დიდ ზნეობრივ და პოლიტიკურ გამარჯვებათ“ („მემორანდუმი“). პირიქით, ამ გარიგებაში ეს იყო დიდი დათმობა მმართველი რეჟიმის მიმართ, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენებს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ამის გამო მოღალატედ და სუკ-ის აგენტად გამოეცხადებინა მრგვალი მაგიდა. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ამ გარიგების მონაწილე საკოორდინაციო ცენტრი ყოფილიყო, რა ვაი-უშველებელს ატეხდა მრგვალი მაგიდა.

დასასრულ კვლავ მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში და ყურადღებას ნუ მიაქცევს მონაჭორსა და მონაჩმახს.

**12 სექტემბერი, 1990 წელი.**

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრეს-ცენტრის ინფორმაცია

1990 წლის 13 სექტემბერს, თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შტაბ-ბინაში შედგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე მოწვეული იყვნენ საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზება. სხდომა მიჰყავდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს — ბ-ნ რაულ კუპრავას. კამათში გამოვიდნენ: ლ. ღვალაძე, თ. ლომაია, თ. ჩხეიძე, ლ. მენაბდე, მ. ტოტოჩავა, კ. კახიძე და სხვები. სხდომაზე შეიქმნა სააგიტაციო ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს დაევალა გარკვეულ რეგიონში სააგიტაციო მუშაობის ჩატარება. რეგიონალურ ორგანიზაციებს მიეცათ დავალება, რათა მათ ხელი შეუწყონ სააგიტაციო ჯგუფების მუშაობას.

ალტერნატიული კუთხე

# განცხადება, ქრონიკა, ინფორმაცია

**16 სექტემბერს** მრგვალ მაგიდაში შემავალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ეროვნულ სტადიონზე გამართეს წინასაარჩევნო საკონსულტაციო მიტინგი.

●

**ილია ჭავჭავაძის** საზოგადოებას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის „ივერთ-ბანკში“ გახსნილი აქვს ანგარიში. თანხის გადმორიცხვის მსურველ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს გაცნობებთ, რომ ჩვენი ანგარიშია: „ივერთ-ბანკი“ № 000161700. კოდი 521921 ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრესცენტრი.

●

ეროვნულ-სოციალური პარტიის წევრებს ვთხოვთ გამოცხადდნენ ქ. თბილისში, პარტიის შტაბ-ბინაში ა/წ 22 სექტემბერს დილის 10 საათზე. შარდენის ქ. № 18-ში.

**ეროვნულ-სოციალური პარტიის სახელით**

**გია ბუმბიაშვილი.**

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

1990 წლის 20 სექტემბერს ხუთშაბათს 16.00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დანიშნულია სახალხო მანიფესტაცია, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდება უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე:

**1. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები;**

**2. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები;**

**3. მესხეთელი თურქების პრობლემები;**

**4. შავი ზღვის გადარჩენის პრობლემა;**

**5. ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრუქტურები და მექანიზმები.**

მოგიწოდებთ ყველას, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ მანიფესტაციაში.

**ირაკლი წერეთელი**

## საქართველოს სახალხო ფრონტის ინფორმაცია

1990 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის გადაწყვეტილებით, ჩატარდა ოქტომბრის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი ამავე რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობის საქმიანობის შესახებ. კონფერენციამ უარყოფითად შეაფასა ოქტომბრის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობის მუშაობა.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონის სახალხო ფრონტის გამგეობის ხელახალი არჩევნების შესახებ. არჩეულ იქნა გამგეობა 11 კაცის, ხოლო სარევიზიო კომისია — 5 კაცის შემადგენლობით.

ოქტომბრის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **გოჩა გავაშელი.**

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

ა/წ 20 სექტემბერს, ხუთშაბათს, 18.00 საათზე კინოს სახლში შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის ქ. თბილისის პირველადი ჯგუფების რწმუნებულთა საგანგებო კონფერენცია. დასწრება სავალდებულოა.

რეგისტრაცია 17.00 საათიდან.

**საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე**

**30 სექტემბერი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა**

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის**

## მიმართვა

თანამემამულენო! ეროვნული კონგრესის არჩევნებთან დაკავშირებით, 21 სექტემბერს, პარასკევს, 16.00 საათზე საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში მართავს წინასაარჩევნო მიტინგს.

მიტინგზე ყურადღება გამახვილდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა უმნიშვნელოვანეს, აქტუალურ საკითხებზეც.

**საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

## განცხადება

საქართველოს ეროვნული კონგრესის საოლქო და საქალაქო კომისიების თავმჯდომარეებს ან მათ შემცვლელ პირებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ 23 სექტემბერს 14.00 საათზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რუსთაველის გამზირი № 29). და თან იქონიონ საარჩევნო უბნების სიები ტერიტორიული საზღვრებითა და რაიონში ამომრჩეველთა რაოდენობა.

## დაწესდა სადგილმამულო დღე

16 სექტემბერს, 6 საათზე თბილისში, საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა 25-ათასკაციანი მიტინგი, რომელიც ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის დემონსტრაციად იქცა.

მიტინგზე, სხვა საკითხებთან ერთად, ერის წარმომადგენლებს ანგარიში ჩააბარა მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს სადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ... მან ილაპარაკა იმაზე, რაც გაკეთდა ფონდის დაარსებიდან დღემდე (იხილეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 11 აგვისტოს ნომერი).

განიხილეს ფონდის საპირბოროტო საკითხებიც, მათ შორის ფონდის სათათბიროს შემადგენლობის შესახებ. ვინაიდან სხვადასხვა მიზეზის გამო სათათბირო დატოვა პირველად არჩეულმა ზოგიერთმა წევრმა, სათათბიროში შეიყვანეს ახალი წევრები და როგორც საკრებულოზე, დაამტკიცეს მთლიანი შემადგენლობა, რადგან მერაბ კოსტავას ფონდის საკრებულოს წევრად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ადამიანი, ვინც იქ ფული გადარიცხა.

ფონდის სათათბიროს დამტკიცებული შემადგენლობა ასეთია: ვაჟა ადამია (თავმჯდომარე), სოსო ბარათაშვილი, თემურ ბუჩუკური, ზვიად გამსახურდია, ჯემალ გოლეთიანი, ოთარ გამყრელიძე, მაია თომაძე, ავთანდილ იმნაძე, ნოდარ იმნაძე, გიზო კორძაძე, დავით კუპრეიშვილი, ნოე მჭედლიშვილი, მალხაზ მოლაშვილი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნოდარ ნათაძე, თენგიზ ონიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თამაზ ქორქოლიანი, თენგიზ სიგუა, თემურ ქორიძე, შალვა წიკლაური, კობა ხაბაზი, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ წულეისკირი, აკაკი ასათიანი, თენგიზ კიტოვანი.

ფონდის საპატიო წევრად კვლავ რჩება ფონდის დამაარსებელი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

**მიტინგის გადაწყვეტილებით ყოველი თვის 12 რიცხვი გამოცხადებულია სადგილმამულო დღედ. ამ დღეს გამომუშავებული თანხა გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს სადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის ანგარიშზე.**

**სალომე ზვიადაძე**

## განცხადება

სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოება, რომლის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ერედვში გამართულ სახალხო თავყრილობაში და მხარი დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას, გმობს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ მიღებულ დეკლარაციის პროექტს და იგი მიაჩნია რეგიონში მოქმედი ექსტრემისტული და ავანტიურისტული ძალების მორიგ პროვოკაციად, რომელიც გამიზნულია ქართველი და ოსი ხალხების გასათიშად, მათ შორის ეროვნული შუღლის გაღრმავების ახალ მცდელობად.

ივანე მაჩაბლის საზოგადოება გამოთქვამს სრულ რწმენას, რომ ეს ცდაც მთლიანად ჩაიფუშება.

**სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების გამგეობა**

**ახალი სასწავლო წლის დაწყების გამო**







## სწავლით, შრომით, სიბეჯითით — საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის

ისევ ახმაურდა სკოლის კედლები, დერეფნები, საკლასო ოთახები აივსო გოგო-ბიჭების ჟრიამულით, ისევ დაირეკა სასექტემბრო ზარი. ათასობით ბავშვი პირველად წავიდა სკოლაში, ბევრისათვის კი მოსწავლეობის ბოლო წელი დაიწყო.

პირველი დღეები შთაბეჭდილებების გაზიარების, მონატრებულ თანაკლასელებსა და მასწავლებლებთან შეხვედრის დღეებია. პირველკლასელთათვის კი — გაცნობის, შეჩვევის, ისევ გასეირნებისა და გართობისა. მალე ისინი დედა ენას გადაშლიან, პირველ ასო-ბგერებსაც ამოიკითხავენ გაუბედავი ხმით, მაგრამ გვინდა ვირწმუნოთ, არაფერი გაუჭირდებათ, რადგან თითოეულს გამოცდილი, გულისხმიერი, ნიჭიერი მასწავლებლები უდგანან გვერდში.

მალე დაცხრება სასექტემბრო საზეიმო განწყობილებაც და ათასობით სკოლა ცოდნის ნამდვილ სამჭედლოს უნდა დაემსგავსოს. ბოლო წლებში ხომ ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა განათლების სისტემაში, რათა მცოდნე, განათლებული თაობა აღიზარდოს, ბევრი გაკეთდა ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისთვის.

სწავლა, ცოდნა, სიბეჯითე და გულისხმიერება აი, ყველაფერი ის, რაც თითოეულ მოსწავლეს ევალება, რამეთუ ამის გარეშე წარმოუდგენელია ბედნიერი ხვალინდელი დღე.

## პირველ ლექციაზე



17 სექტემბერს თბილისის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყო.

რესპუბლიკის სტუდენტთა მრავალრიცხოვანი არმია შეავსეს აბიტურიენტებმა, მათ შორისაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნათია გელოვანი.

**სურათზე: პირველი კურსის სტუდენტი ნათია გელოვანი პირველ ლექციაზე მიდის.**

**ბიბი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმამაღლა სათქმელი



ბრძნულმა შეგონებამაც — „ზოგჯერ დუმილი ოქროა", დეფორმაცია განიცადა სტალინის ყაზარმული სოციალიზმის დროს. მას სიტყვა „ზოგჯერ" გამოაცალეს და დაგვარწმუნეს, რომ დუმილი ყოველთვის ოქროა. სამწუხაროდ, ეს დღემდე გრძელდება, თორემ საქართველოში საზოგადოება „სტალინი" ვერ უნდა ჩამოყალიბებულიყო და მით უმეტეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვეტოს შემდეგ, სასამართლოში ვერ უნდა ეჩივლათ მის „ბელადებს". სასამართლოს განაჩენიც მომჩივანთა სასარგებლოდ არ უნდა გამოეტანათ.

საზოგადოება „სტალინის" საქართველოში არსებობა უზნეობაა. ამას ბევრი ფიცი და მტკიცება არ სჭირდება.

საქართველოს „წაღმა-უკუღმა გადამხვნელის" საზოგადოებას თუ ვქმნით, რა დააშავეს თემურ-ლენგმა, შაჰ-აბასმა (მგონი, შეიქმნა კიდეც), ჯალალ-ედ-დინმა და სხვებმა? რატომ არ ვქმნით ჰიტლერის, მაო-ძე-დუნის, ჩაუშესკუს პარტიულ ორგანიზაციებს? მიპასუხებენ, სტალინი საქართველოში დაიბადაო. ჩვენთან ბევრი ირემი და ბევრი მგელი გაჩენილა, ბევრი გველის წიწილიც გამოჩეკილა.

სტალინი თავად არ ქართველობდა. სამოსიც უცხო ეცვა, კორტუზიანი რუსული ქუდი ეხურა, მშობლიურ ენადაც რუსულს თვლიდა. ღირსების შელახვად მიგვაჩნია მკითხველს შევახსენოთ ყველა მისი ანტიეროვნული საქმეები, ოკუპანტობასთან და ჯალათობასთან ერთად.

ჩვენი ეროვნული სიბეცე და სიჟაგლახე ის გახლდათ, რომ მისი კრიტიკა დაგვისწრეს. დაგვიანებას ვინ ჩივის, მისი სახელის დასაცავად სისხლიც კი გავიღეთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი გონებაშეზღუდული ადამიანი მის სადღეგრძელოსაც კი სვამს (დიახ, სადღეგრძელოს და არა შესანდობარს).

ჩვენ, მაგალითად, სრულიად არ გაგვიკვირდებოდა, მას რომ რუსები აღმერთებდნენ. დიახ, იგი უდიდესი იმპერატორი იყო. თამამად დაიჭერს ადგილს პეტრე პირველისა და ივანე მრისხანეს გვერდით.

მაგრამ დღეს, როცა გარდაქმნა ლოზუნგადაა ქცეული, როცა მართლა ხდება დემოკრატიული ძვრები, სტალინიზმი ანაქრონიზმი და ანომალიაა.

როცა ლენინის კერპი დაიმსხვრა, როცა ბოლშევიზმს საბოლოოდ ჩამოეხსნა ნიღაბი, საზოგადოება „სტალინის" არსებობა დანაშაულია.

დავუშვათ, რომ ამ პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში — რა გამოდის — გარდაქმნაზე ხელი უნდა ავიღოთ და ისევ ყაზარმული სოციალიზმის მშენებლობა გავაგრძელოთ?

შეიძლება ვინმემ გვიკიჟინოს, როგორც იქნა სანუკვარ მრავალპარტიულობას ვეღირსეთ და თქვენ მავანი და მავანი პარტიის აკრძალვას მოითხოვთო. ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში იკრძალება ისეთი პარტიების არსებობა, რომელიც დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებს. ასეთი იყო ბოლშევიკური პარტია. საქართველოს კომპარტიის ბაზაზე ვერ შეიქმნებოდა საზოგადოება „სტალინი", რადგან იგი გმობს „პიროვნების კულტს". ასევე შეაჩვენა „კულტი" საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამაც. მაშინ გასარკვევია — რა პროგრამით წარსდგა სასამართლოზე საზოგადოება „სტალინი". ადრე იგი მოგვევლინა როგორც საერთაშორისო ასოციაცია, მაგრამ არჩევნებისათვის „მოითავდაბლა" და რესპუბლიკის ჩარჩოებში შევიწროვდა. ყველაზე უფრო ცინიკური ის არის, რომ მაშინ, დაფუძნების ჟამს, საზოგადოებამ ჰიმნად — „ჩემო კარგო ქვეყანავ" დაიჩემა. რომელ ქვეყანას გულისხმობდა ბელადი? წაღმა-უკუღმა რომ გადახნა თუ... „დასტური არისო" მის გასათელად — ორჯონიკიძეს რომ დეპეშითატყობინებდა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ილიას მკვლელობის კვალი ჯუღაშვილამდე მიდისო. ამ საზოგადოების ერთ-ერთ მესვეურს ბატონ კარლო გარდაფხაძეს კარგად ვიცნობთ. პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი იდეოლოგიური ფრონტის მსხვილ შენაერთებს ხელმძღვანელობდა (იყო პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის, თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე). საინტერესოა, როდის იყო ის მართალი, როცა კულტს ებრძოდა თუ როცა კულტისათვის იბრძვის?

სტალინი ბნელი წარსულია.

ნათელ ხვალესაც ნუ დავაბნელებთ!

სიტყვა თქვენზეა, რესპუბლიკის პროკურორო.

**ამომრჩევლები**
**რევაზ ურუშაძე,**
**ზურაბ ცაგაძე.**

# ხელშეკრულება საქართველოს სსრ-სა და რსფსრ-ს შორის— პოლიტიკური ფარსი

1990 წლის 1 სექტემბერს სსრკ-ის ცენტრალურმა ტელევიზიამ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება ყოველმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ჩვენს დროში ძნელია რაიმეთი გააკვირვო ადამიანი, მაგრამ ეს ფაქტი მაინც განსაკუთრებულია. როგორც კარგა ხანია გვარწმუნებდნენ, ჩვენ უკვე დიდი ხანია „საჯაროობისა" და „დემოკრატიის" პირობებში ვცხოვრობთ და ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხოლოდ და მხოლოდ სსრკ-ის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას" მეშვეობით გაიგეს ეს ამბავი.

კიდევ უფრო დიდი გაოცება გამოიწვია, ალბათ, საქმეში ჩახედულ კაცში მეორე დღეს, 2 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტის" პუბლიკაციამ „რუსეთ-საქართველო: დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სუვერენიტეტის გზაზე", რომელშიც აღფრთოვანებული ტონით აღწერილია ამ „ისტორიული" ხელშეკრულების დადების ცერემონიალი ბორის ელცინისა და გივი გუმბარიძის მონაწილეობით. ამ პუბლიკაციიდან ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მომენტს.

შავით თეთრზე წერია: „ეს ხომ პირველი ხელშეკრულებაა, რომელსაც სუვერენული რუსეთი და სუვერენული საქართველო დებენ". ჯერ ერთი, სუვერენულმა რუსეთმა და სუვერენულმა საქართველომ ხელშეკრულება 1920 წლის 7 მაისს დადეს; და მეორეც, დღევანდელ რუსეთს თავი დავანებოთ და საქართველო რომ დღეს სუვერენული ქვეყანაა, ამის არა თუ მამტკიცებელი, არამედ გულუბრყვილოდ დამჯერებელი კაციც კი, ალბათ, შეუძლებელია იპოვო საქართველოში. არგუმენტაცია ზედმეტად მიგვაჩნია.

მაგრამ, აქ მთავარი სხვაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს იყო საიდუმლო გარიგება. გარიგება ხალხის ზურგს უკან და სხვა არაფერი.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი სრული ხელისუფლების მქონე ორგანოს შექმნამდე ჩვენ კიდევ მნიშვნელოვანი მონაკვეთი გვაქვს გასავლელი ჩვენი ისტორიის გზაზე. ამიტომ ნუ ვიჩქარებთ ქართველი ერის ნების დაბრალებას ჩვენს გადაწყვეტილებებზე, ვინძლო სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ. დღევანდელი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შეეცდება ამ ფაქტის გამოყენებას პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად საარჩევნო კამპანიის პერიოდში. რაც, ფაქტობრივად, კიდეც დაიწყო. ამავე დროს, რასაკვირველია, მან ცენტრალური ხელისუფლების კეთილგანწყობაც მოიპოვა ამ „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯით", მაგრამ ამ აქტის პოლიტიკური მნიშვნელობა მარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. ჭეშმარიტად, მედალს მეორე მხარეც აქვს. კარგი კოზირი იქნება ეს ხელშეკრულება იმ ძალებისათვის, რომელნიც თავის პოლიტიკურ დივიდენდებს ძირითადად ნეგაციით მოიპოვებენ. რას ვიზამთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, პოლიტიკური ფარსების ტყვეობაში ვიმყოფებით.

რა თქმა უნდა, დღეს საქართველოში ძნელად მოიძებნება მეტნაკლებად ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელიც სერიოზულად დაიჯერებს, რომ ეს არის მართლაც „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სუვერენიტეტის გზაზე", სუვერენული ქვეყნების მიერ გადადგმული. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არც სავაივიშოდ არის საქმე. ჩვენ განზრახ არ ვჩერდებით ხელშეკრულების შინაარსზე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა რსფსრ-ს და საქართველოს სსრ-ს შორის დღეს არსებული ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების ახალ ფორმაში ფიქსირება. არსებითად შინაარსი იგივე რჩება, მხოლოდ ფორმა იცვლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საგანგაშო არაფერია. დამოუკიდებლობა ერთ დღეში არ მოვა. ჩვენ ბევრი ხელშეკრულება გვექნება გასაუქმებელი და ეს მხოლოდ ერთ-ერთი იქნება მათ შორის.

ქართველი ერი პატივს სცემს და დაიცავს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებსაც თავად დადებს — მართლაც სუვერენულად — ე.ი. როდესაც საქართველო იქნება სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით გამოვლენილი ხალხის ნება განახორციელებს საქართველოს სუვერენიტეტს, როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკაში.

ამით შეიძლებოდა დასრულება, რომ არა ერთი წინადადება კვლავ „კომუნისტის" პუბლიკაციიდან, სადაც ვკითხულობთ: „დაე ნურავის შეშურდება ჩვენი. იმით, რომ სწორედ ჩვენმა რესპუბლიკებმა, როგორც სუვერენულმა სახელმწიფოებმა, პირველებმა მოაწერეს ხელი ასეთ ხელშეკრულებას, ისტორიული კანონზომიერება გამოვლინდა".

ჩვენ არ ვიცით აქ ვინ იგულისხმება, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, არც ერთ დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყანას (მაგალითად, საფრანგეთს, ბელგიას, შვედეთს და სხვა) ნამდვილად არ შეშურდება საქართველოს სსრ-ის ასეთი სუვერენიტეტისა და „მეგობრული" ხელშეკრულებისა რუსეთთან. არც ის გვგონია, რომ სსრკ-ის იმ რესპუბლიკებს, რომელნიც იბრძვიან ნამდვილი და არა დეკლარაციების სუვერენიტეტისათვის, შურით გული დაუსკდეთ.

ეს რაც შეეხება საქართველოს სსრ-ს. მაგრამ, აი რუსეთისა კი შეიძლება შეშურდეთ. ვის? იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომელნიც სხვა ქვეყნებზე თავიანთი გავლენის გასავრცელებლად ილვწიან და სურთ, რომ ეს გარეგნულად ცივილიზებულ ფორმებში წარუდგინონ საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებრიობას. ეს ხელშეკრულება მართლაც „ნაბიჯია" ამ გზაზე, მაგრამ არა „დიდმნიშვნელოვანი", როგორც ამას პრესა გვაუწყებდა. ტყუილად შურთ რუსეთისა სხვა იმპერიალისტებს — ვერავითარი ხელშეკრულებები ვერ შეაჩერებენ ქართველი ხალხის დაუოკებელ სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენ ღრმად გვწამს, თავისუფლების გზაზე აღმართული ყველა ბარიერი დაძლეულ იქნება იმის მიერ, ვინც ნამდვილად იბრძვის თავისუფლებისათვის.

**საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო".**

11. IX. 1990.

# თანხმობისა თუ უთანხმოებისათვის

ამ პატარა საქართველოში კიდევ ერთი „კავშირი" — საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი შეიქმნა, თანაც უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ცხარე პერიოდში. არ შეიძლება არ გაჩნდეს კითხვა: რა ხდება, რა ხატზე გადაცემულებივით ვაწყდებით აქეთ-იქით უთავბოლოდ? ან იმის ფასი რა გვჭირს, რომ თანხმობისათვის ვერ მიგვიღწევია, ანდა, რატომ აცდუნებთ მავანთ იდეა, რომ სხვამ ვერ შეძლო თანხმობის მიღწევა, აი, ისინი კი ნამდვილად შესძლებენ.

გაზეთ „მამულის" ა. წ. № 15-ში ბატონი აკაკი ბაქრაძე სამართლიანად წერდა — „საქართველოში უკვე ანეგდოტის საგანი გახდა პოლიტიკური პარტიების სიმრავლე... მთელი დედამიწის ზურგზე არ იპოვება იმდენი პოლიტიკური კონცეფცია, რამდენი პარტიაც საქართველოშია. საინტერესოა, რა ძალა ამრავლებს ჩვენში პარტიებს სოკოებივით?" ეს ძალა, ჩემი აზრით, უფრო ამბიციური და პატივმოყვარულია, ვიდრე ეროვნული სატკივრებიდან დაძრული.

ჩასაქოლზე მეტია ის ქართველი, ვინც სიტყვას დაძრავს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ სხვა რამ გვაწუხებს — გვეეჭვება, რომ ეს შესძლოს ახალშექმნილმა „კავშირმა". ვითომ რაო, რუსთაველის საზოგადოება, ან სახალხო ფრონტი ეროვნული თანხმობისა და აღორძინებისათვის არ იბრძვიან, რომელთაც ამ საქმეში საკმაო გამოცდილებაც შეიძინეს. თუ ასე გვაწუხებს თანხმობისა და აღორძინების ბედი, ვითანამშრომლოთ ამ უკვე შექმნილ და მოქმედ ორგანიზაციებთან. საქართველოს სახალხო ფრონტის წესდების პრეამბულაში წერია: „საქართველოს სახალხო ფრონტი არის საერთო სახალხო ზეპარტიული (ხაზი ჩემია. კ. გ.) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც აერთიანებს კეთილი ნების ადამიანებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოში დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების შექმნის მიზნით საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ". განა ახალშექმნილი „კავშირი" სხვა მიზნებს ისახავს? ხოლო თუ სახალხო ფრონტს, ან სხვა ორგანიზაციას უჭირს ეროვნული თანხმობის მიღწევა, ამას უკეთესად გაართმევს თავს ეს ახალი „კავშირი?

გარდა ამისა, „კავშირის" დამფუძნებელ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში აღინიშნა, რომ „საქართველოს საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი ჩვენთვის, რომ უკვე არსებობს საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია... მართალია, სახელწოდების სრული დამთხვევა არაა. იქ საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციაა, ჩვენთან საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირიო". ჯერ-ერთი, როცა რაიმე რესპუბლიკური მასშტაბის საზოგადოება იქმნება, მის ინიციატორებს მოეთხოვებათ იცოდნენ, უკვე რა ორგანიზაციები არსებობს რესპუბლიკაში. თუ არ იციან, არ ყოფილან პოლიტიკური ცხოვრების საქმის კურსში. მეორეც, ეს სახელწოდებები ხომ სრულად იდენტურია. ახალი „კავშირის" ინიციატორებს თავიანთ წინანდელ სახელწოდებებში სიტყვა „აღორძინების" ჩამატების ნაცვლად, სჯობდა ეზრუნათ შეერთებოდნენ უკვე არსებულ ასოციაციას და მასთან ერთად ემოღვაწათ ეროვნული თანხმობისათვის.

შეგახსენებთ ერთ ადგილს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ამასწინანდელი განცხადებიდან — „არჩევანისა და არადანის გამო": „დაბეჯითებით ვაცხადებთ — ამ თანხმობის მისაღწევად არ გამოდგება თანხმობისა და ერთობის სახელით შექმნილი ახალი და ახალი საზოგადოებები — ისინი მხოლოდ აღრმავებენ განხეთქილებას".

დასტურ, — უკეთესად ვერ იტყვი.

გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 9 სექტემბრის ნომერში (იხ. „ვითომ თვითნებობის კანონით?") დასაბუთებული პასუხი გაეცა ახალშექმნილი „კავშირის" ცდას გაამართლოს არჩევნებში მონაწილეობის მისი უფლებამოსილება. „კავშირმა" რახან დემოკრატიული გზით ვერ მიაღწია ამას, ადმინისტრაციულად უზრუნველყო ეს და კიდევ უფრო დაამძიმა პოლიტიკური ვითარება.

**კარლო გოგსაძე**

# ესეც ჩვენი ისტორიაა



1


5



2



6

ამ სურათებზე შემორჩენილი დრო, რომელიც ერთდროულად ძრონიულ ღიმილსაც გვგვრის და ხევდასაც, უკვე ჩვენი ისტორიაა. და თუმცა თითოეულ ამ ფოტოზე მხოლოდ წამის ერთი გაელვებაა ასახული, იგი იტევს და აღადგენს ჩვენი ხალხის ცხოვრების ვრცელ პანორამას. ეს ფოტოები გადაღებულია 1939 წელს.

1. მუშფაკის დირექტორი ესაუბრება მუშფაკის წარჩინებულ მოსწავლეებს; 2. უფროსი პიონერხელმძღვანელი მეათეკლასელებს უკითხავს სტალინის მოხსენებას კომპარტიის XVIII ყრილობაზე; 3. გორელი ბავშვები ეცნობიან ბელადის ბიოგრაფიას; 4. პიონერული რგოლის ხელმძღვანელი აბარებს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ; 5. ბიოლოგიის გაკვეთილზე IV კლასში; 6. თბილისელი მოსწავლეები ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტთან; 7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში; 8. სასკოლო სამხედრო მომზადების წარჩინებულნი.


3


7


4


8

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე [illegible] ფირმა „არგო“.



# კახეთში უყვართ ფეხბურთი...

ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებიდან ჩვენ ინტერესს ამჯერად I ჯგუფში მოასპარეზე გუნდები იწვევდნენ. არჩევანიც მეტად საინტერესო წყვილზე შევაჩერეთ — გურჯაანის „ალაზანზე“ და თელავის „კახეთზე“. „ალაზანი“ სეზონის დაწყებისთანავე მეტად ლამაზ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს და სატურნირო ცხრილში მისი მაღალი ადგილიც სწორედ კარგი თამაშით არის განპირობებული. აგერ უკვე მერამდენე ტურია, რაც I ჯგუფის გათამაშების ცხრილს სათავეში უდგანან ზესტაფონის „მარგვეთი“ და გურჯაანის „ალაზანი“, რომელთაც კვალდაკვალ მიჰყვებიან თელავის „კახეთი“ და ვანის „სულორი“. აღსანიშნავია, რომ თელაველებმა სეზონი საკმაოდ წარუმატებლად დაიწყეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდში მაღალი კლასის მეკარე მოიყვანეს, სიტუაცია გამოსწორდა და ამჟამად „კახეთი“ ერთ-ერთი სტაბილური და ანგარიშგასაწევი გუნდია.

... შეხვედრამ გურჯაანის „ალაზანსა“ და თელავის „კახეთს“ შორის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. გურჯაანის საკმაოდ დიდ და ლამაზ სტადიონზე მრავლად იყვნენ ორივე გუნდის ქომაგები, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდნენ თავიანთ საყვარელ გუნდებს.

წინდაწინ უნდა აღინიშნოს, რომ მატჩი სანახაობრივადაც მიმზიდველად წარიმართა, რაშიც ორივე გუნდის დიდი დამსახურებაა. თამაში კი „ალაზანის“ შეტევებით დაიწყო და პირველი დარტყმაც მეტოქის კარში ვარლამ კილასონიამ შეასრულა. თელაველებმა კი თავიანთი მეტად სახიფათო თავდამსხმელის გოჩა ჰვრიტიძის საპასუხო შეტევით უპასუხეს. პირველი ტაიმის შუაგულისთვის კი „ალაზანი“ მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდა და შეტევებს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ იმ საღამოს კარგად თამაშობდა თელაველთა კარის დარაჯი არვიდას კონციავიჩუსი, ძნელია ჩამოთვლა იმ სახიფათო მომენტებისა, რომლებიც გურჯაანელებმა შექმნეს და ყოველთვის ბურთი თითქოსდა თვითონ „პოულობდა“ კონციავიჩუსს.

გურჯაანელთა რიგებში პირველ ტაიმში აქტიური თამაშით ბაწაშვილი, კილასონია და ზაალიშვილი გამოირჩეოდნენ, მაგრამ გუნდის სული და გული მაინც მათი ლიდერი დავით სოლოღაშვილი გახლდათ. ამ ფეხბურთელზე ადრეც ბევრი გვსმენოდა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიახ, ნამდვილად არ გვეგონა, თუ I ჯგუფის მოასპარეზე გუნდების შემადგენლობაში ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი იქნებოდა. სოლოღაშვილი ყველა თავის შესანიშნავ თვისებებს მოედანზე სრულად ავლენს. ბრწყინვალე დრიბლინგი, პასის კულტურა, მოედნის კარგი ხედვა და რაც მთავარია, ორი ტაიმის განმავლობაში მეტად შრომატევადი სამუშაოს შესრულება — აი, ყველა ის საფეხბურთო კომპონენტების სიუხვე, რითაც იმ დღეს სოლოღაშვილი გამოირჩეოდა.

„ალაზანის“ შეტევები მეორე ტაიმში ძირითადად მარჯვენა ფრთიდან იწყებოდა, სადაც აქტიურობდნენ ილია შუბითიძე და ვარლამ კილასონია. ერთ შემთხვევაში კონციავიჩუსიც უძლური იყო კილასონიას მიერ დარტყმული ბურთი მოეგერიებინა, მაგრამ თელაველთა მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი...

მატჩის ბოლო წუთები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „ალაზანის“ გააფთრებული შტურმით აღინიშნა, მაგრამ მაინც უშედეგოდ. ასე რომ, მატჩი ისე დასრულდა, რომ მეტოქეებმა ვერცერთხელ ვერ მოახერხეს კარის აღება. თელაველები ქულის აღებას კი მხოლოდ კონციავიჩუსის შესანიშნავ თამაშს უნდა უმადლოდნენ. „კახეთის“ გუნდში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დასტოვა კარგი შთაბეჭდილება — ეს გახლავთ ფორვარდი გოჩა ჰვრიტიძე, რომელსაც პარტნიორებისგან მეტი მხარდაჭერა რომ ჰქონოდა, ალბათ, მეტ სიმწვავეს შეიტანდა თამაშში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორივე გუნდს წამყვანი ფეხბურთელები აკლდათ — დავით სანიკიძე („კახეთი“) და დავით თეთრაული („ალაზანი“). ეს პრინციპული და, ცოტა არ იყოს, ნერვული შეხვედრა მსაჯებისათვისაც ძნელი გამოდგა. ჩვენი აზრით, შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ლევან ჩიტაიამ კარგად გაართვა თავი ამ რთულ მისიას, რაშიც შეხვედრის კომისარი, წარსულში ჩვენი სახელგანთქმული ფეხბურთელი რამაზ შენგელიაც დაგვეთანხმა. არც წესრიგის დარღვევას ჰქონია ადგილი სტადიონზე, თუმცა კი, კიდევ ვიმეორებთ, რომ მეტად დაძაბული სიტუაცია იყო. იმედია, არ გვიწყენენ გურჯაანელი ფეხბურთის მოყვარულნი, მაგრამ ერთ არასასიამოვნო ფაქტზე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ. საქმე ის გახლავთ, რომ ორი ტაიმის განმავლობაში ერთ-ერთი კარის უკან (სადაც სათადარიგოთა სკამებია), უამრავი ხალხი იყრის თავს და არ არის გამორიცხული, რომ წესრიგის დამცველებმა დროულად ველარ მოასწრონ რომელიმე თავაშვებული გულშემატკივარის გამოხტომა...

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე გუნდმა მთლიანობაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სასიამოვნოა, როცა გუნდში ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც კილასონია, ბაწაშვილი, შუბითიძე და ჰვრიტიძე არიან და თუ ამას დავუმატებთ ორივე გუნდის ლიდერებს — დავით სოლოღაშვილსა და არვიდას კონციავიჩუსს, თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ საქართველოს ამ ლამაზ კუთხეში ფეხბურთი აღმავლობას განიცდის...

გუნდებმა კი ეს პრინციპული შეხვედრა შემდეგი შემადგენლობებით ჩაატარეს:

**„ალაზანი“: ქუნიაშვილი, შუბითიძე, კეშელიშვილი, აბულაძე, ბარნაბიშვილი, კილასონია, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოღაშვილი, ქუმბურიძე, წიქარიშვილი.**

**„კახეთი“: კონციავიჩუსი, ქელეხიძე, ბიწკინაშვილი, როსტომაშვილი, ამბხულაშვილი, ჰვრიტიძე, ნაკუტაიძე, მაღრაძე (ხორხელი), ლონდაძე, ჯაშიაშვილი, აფაქიძე.**

**ბია ტუხაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

**ოლეგ გველესიანის ფოტოები.**






# ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ სარეკლამო გვერდზე და სატელევიზიო გადაცემა — „ილუზიონის“ ეთერული დროისათვის რეკლამები და განცხადებები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე:



37-58-25

(11 სთ-დან 17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა)

მისამართი:

ბუდაპეშტის ქუჩა № 1. ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო.


# წერილი რედაქციას

მოგეხსენებათ, რომ ლოტკინის დასახლება ქალაქის ცენტრს ტერიტორიულად ემიჯნება. ამიტომ ტრანსპორტის პრობლემა ყოველთვის პირველ რიგში იდგა ჩვენი დასახლების მცხოვრებთათვის. თავის დროზე ტრამვაის ხაზის გაყვანამ ცოტა შეღავათი მისცა მცხოვრებლებს, მაგრამ უკვე ორ თვეზე მეტია მოხსნილია ტრამვაი გარკვეული სარემონტო სამუშაოების გამო.

ლოტკინი მუშათა დასახლებაა, ამიტომ ხალხს ესაჭიროება ტრანსპორტი, რომელიც ჩვენთან ძალიან დეფიციტია, ავტობუსი არ დადის, თუ დადის ერთი, ისიც საათობით ჩერდება ბოლო გაჩერებებზე. კერძო ტაქსები 6-7 მანეთს ითხოვენ, ამიტომ მოვითხოვთ, გადასასვლელი ხიდიდან დანიშნონ დამატებითი ავტობუსები ან სამარშრუტო ტაქსები.

ამ მოთხოვნას ხელს აწერენ:

**თბილისის № 88 აფთიაქის, № 80 პოლიკლინიკისა და 190-ე საშუალო სკოლის თანამშრომლები.**

# ძვირფასო თანამემამულენო!

ამა წლის მეოთხე კვარტალში ფირმა „H. B.“, გამოსცემს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის ირაკლი კაკაბაძის სოციოლოგიურ დეტექტივს „Alegro ან ერთი წლის ქრონიკა“. წიგნი ასახავს ჩვენი ახალგაზრდობის დღევანდელ სულიერ პრობლემებს.

ხელმოწერის მსურველთ, რომელთაც, წიგნთან ერთად სასიამოვნო სიურპრიზიც ელით, ვთხოვთ საფოსტო წესით გადმორიცხონ ხუთი მანეთი (მასში წიგნის ბანდეროლით გამოგზავნის ღირებულებაც შედის) ფირმის ანგარიშზე — 80046 (62) საბურთალოს ბინსოცბანკში, МФО — 521664, ხოლო ქვითარი გამოაგზავნონ მისამართით. 380008, თბილისი-8, ს/ყ 122 — „H. B“. გთხოვთ, კონვერტზე გარკვევით მიუთითოთ თქვენი მისამართი, წინასწარ გიხდით მადლობას.

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება საქ. მუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სიმაღლეების № 29 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.